

ოქმი N14**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის**

2020 წელი, 5 აგვისტო
ქ. ოზურგეთი
16.00 საათი -17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, გ.ღურჯუმელიძე; მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.ბიგვავა, გ.ჩაგანავა, ე.გორდელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები : ტ.აროშიძე, გ.ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე, ბ.ქათამაძე, გ.თოიძე, ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, ვ.ბერიძე, გ.მდინარაძე, ლ.ნინიძე, პ.კილურაძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, ლ.კილაძე, ალ.დლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, ვლ.დლონტი, თ.ბურჭულაძე, ლ.სიჭინავა, დ.მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე -46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 31 -მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 31-ხმით.

დღის წესრიგი

12. 1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დადგენის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

საკრებულოს წევრმა დ.მამალაძემ დასვა შეკითხვა-გარე მოვაჭრეებმა მერიაში შეიტანეს განცხადება გურიის ქუჩაზე დროებითი ნაგებობების აშენების თაობაზე, რა მდგომარეობაშია იგი? განუმარტეს, რომ დადგენილების მიღების შემდეგ დაიწყება პროცესი. საკრებულოს წევრმა დ.მჟავანაძემ განაცხადა, რომ გარე ვაჭრობა უნდა მოწესრიგდეს, მაგრამ რა ეშველება იმ გარე მოვაჭრეებს, რომლებმაც ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილების მიღებამდე განხორციელებული ღონისძიებით იზარალებეს? ვინ იღებს მასზე პასუხისმგებლობას? განუმარტეს, რომ ასეთ შემთხვევაში უნდა მიმართონ შესაბამის ორგანოებს.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაძემ განაცხადა, რომ პროექტზე არსებობს დასკვნა, რომელზეც პირველ რიგში უნდა გაიცეს პასუხი, კომისიის დასკვნაში არსებულ შენიშვნებზე პასუხი არ გაცემულა, მართალია პროექტი კანონშესაბამისია, მაგრამ არის შენიშვნები-არაა განმარტებული გარე ვაჭრობის მცნება და, რაც მთავარია, არაა მითითებული ადგილები, სადაც აკრძალულია გარე ვაჭრობა, რის გარეშეც დოკუმენტი იქნება მკვდრადშობილი, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ეს კეთდება გარკვეული მოსაზრებით, ამიტომ კომისია, თუ უახლოს ხანში მერისაგან არ იქნება გამოცემული ბრძანება, სადაც კონკრეტულად იქნება მითითებული გარე ვაჭრობის აკრძალვის ადგილები, პროექტის დამტკიცებას მხარს არ დაუჭერს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ საკრებულოს შესთავაზა წინადადება, წარმოდგენილი პროექტი დაემტკიცებინათ იმ პირობით, რომ მერია უახლოეს ხანში წარმოადგენს დადგენილების ცვლილების პროექტს, რომელშიც, კონკრეტულად იქნება მინიშნებული ადგილები, სადაც იკრძალება გარე ვაჭრობა. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ ლ.მგელაძემ განაცხადა, რომ შეიძლება იყოს აკრძალული ადგილები, სადაც შეიძლება დროებით, ღონისძიებისას მოეწყოს გარე ვაჭრობა. დადგენილება მიღებულ იქნა 30 -ხმით, 1-წინააღმდეგი.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

საკითხის განხილვისას დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ და თანამომხსენებელმა ე.გორდელაძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და საკრებულოს წარმოდგინა დასკვნა, რომელშიც საკრებულოს მიმართავს წინადადებით მხარი არ დაეჭიროს წარმოდგენილ პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ პროექტის ინიციატორების სურვილი იყო ინერტული ამომრჩევლების ჩაბმა

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაში, მაგრამ პროექტი მოდის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან წინააღმდეგობაში და საკრებულო მას მხარს ვერ დაუჭერს. პროექტს მხარი დაუჭირა ორმა საკრებულოს წევრმა-(დ.მუჯანაძე და ბ.ქათამაძე), წინააღმდეგი იყო 29, ამდენად დადგენილება არ იქნა მიღებული.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

